ხელშეკრულება № 59

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 5 სექტემბერი 2019წ

ერთის მხრივ, შპს სარაგბო კლუბი ბათუმი (მისამართი: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. 25) წარმოდგენილი დირექტორის გელა ქობულაძის სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად”) და მეორე მხრივ შპს „ბი ემ სი გორგია“ ს/კ 245621288 წარმოდგენილი დირექტორის ხვიჩა პაპუნიძის სახით (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად”), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს კანონით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 14 ივნისის N 12 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ მე-2 მუხლის „ა“ პუნქტით შპს „სარაგბო კლუბი ბათუმი“-ის საჭიროებისათვის 31600000 - ელექტრომოწყობილობები და აპარატურა, 44500000 - ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჭაჯვები და ზამბარები/რესორები , 42100000 - დანადგარები მექანიკური ენერგიის წარმოებისა და გამოყენებისთვის; შესყიდვის მიზნით მონეტარული ზღვრის დაცვით გამარტივებული შესყიდვის ფორმით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ან/და საქონელის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება, საქონელი “ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შპს სარაგბო კლუბ „ბათუმი“-ს საჭიროებისათვის ელექტრომოწყობილობები და აპარატურა, ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჭაჯვები და ზამბარები/რესორები , დანადგარები მექანიკური ენერგიის წარმოებისა და გამოყენებისთვის შესყიდვა ფასების ცხრილის შესაბამისად. დანართები წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მიმწოდებლის მიერ მისი ელექტრონულად ხელმოწერის ან ელექტრონული შტამპით დამოწმების მომენტიდან 5 სექტემბრიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

3.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მოწოდების ვადაა 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით

4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2688,65 (ორიათასექვსასოთხმოცდარვა და 65) ლარს.
4.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეიცავს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და წესი
5.1 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი
5.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გადასცეს საქონელი ერთჯერადად ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით
5.3. მიწოდების ადგილი: შავშეთის #27
6. მხარეთა ვალდებულებები
6.1.მიმწოდებელი ვალდებულია მოაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული უნაკლო საქონელი
6.2. თუკი ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული საქონელი არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი.
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონელის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით
6.4. შემსყიდველი ვალდებულია მომწოდებლის მხრიდან საქონელის მოწოდების შემდეგ გადაიხადოს მისი ფასი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

7. ანგარიშსწორების ფორმა და წესი
7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და მიმწოდებლის მიერ საგადასახადო დოკუმენტაციის (ზედნადები ან/და ანგარიშფაქტურტა) წარმოდგენიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა
8. ხელშეკრულების ინსპექტირება
8.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.
8.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლსა და ინსპექტირებას განახორციელებს
- მინდია ღლონტი შპს ,, სარაგბო კლუბი ბათუმი“-ს დირექტორის მოადგილე
8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი
9.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ჩაითვლება მიღებულად ავტომატურად, თუკი მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია , ასევე მიღება - ჩაბარების აქტი და შემსყიდველის მხრიდან არ არის გამოვლენილი ხარვეზი მოწოდებულ საქონელში

10. ხელშეკრულების შეწყვეტა
10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება

შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.
10.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ, თუ:
ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია საქონლის სრულად მიწოდება;
ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
გ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა
11.1. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა;
11.2. მიმწოდებელს ხელშეკრულების მოთხოვნების დარღვევისათვის დაეკისრება პირგასამტეხ-ლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,25 %-ის ოდენობით ყოველდღიურად;
11.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტი-სთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
11.4. შემსყიდველს 7.2. პუნქტის მოთხოვნების დარღვევისათვის დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,25 %-ის ოდენობით ყოველდღიურად;
11.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12. ფორს-მაჟორი
12.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.
12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია,
კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).
12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

13.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

13.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

13.5. ხელშეკრულების 13.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს;

14. დავების გადაჭრის წესი

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო

15. დასკვნითი დებულებები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი რჩება შემსყიდველს, ერთი – მომწოდებელს).

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შპს სარაგბო კლუბი ბათუმი“	შპს „ბი ემ სი გორგია“
ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. 25	ს/კ 245621288
საიდ. კოდი 445393495	ბათუმი ; სოხუმის ქ. N 10
ვითიბი ბანკი ჯორჯია	სს თიბისი ბანკი
ა/ა GE07 VT 5500000000133408	ა/ა GE62TB1007536020100008
დირექტორი გელა ქობულაძე	დირექტორი ხვიჩა პაპუნიძე

ფასების ცხრილი

N	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ზომის ერთეული	ფასი	თანხა
1	შემრევი აბაზანის ZF6172172C	2,000	ცალი	70,0000	140,00
2	T ტიპის ქანჩის გასაღები 9*180*280mm TOL174-15111	1,000	ცალი	5,2500	5,25
3	T ტიპის ქანჩის გასაღები 10*180*280mm TOL175-15112	1,000	ცალი	5,1000	5,10
4	შემდუღებლის ნიღაბი (HHWM102)	1,000	ცალი	9,0000	9,00
5	მრავალფუნქციური დანა (HMFK8158)	1,000	ცალი	14,1000	14,10
6	ბრტყელტუჩა ჩამკეტით მეტალის 10" TOL10-10049	1,000	ცალი	18,2000	18,20
7	მკვნეტარა პოლიმერული მილების 0-42 მმ (1.5/8 მდე) 34D034	1,000	ცალი	41,1000	41,10
8	H05VV-F 3*2.5	100,000	მეტრი	2,7500	275,00
9	LPT003-ნიჩაბი STAL ოვალური 1000გრ 225*310*430mm	3,000	ცალი	8,7500	26,25
10	LPT001-ბარი STAL 1000გრ	2,000	ცალი	7,6000	15,20
11	CINDA ხელთათმანი წითელი-შავი ლატექსი L1106	1,000	ცალი	13,8000	13,80
12	TOL312-25111 გელა 750*18მმ	1,000	ცალი	19,4000	19,40
13	ქანჩის გასაღების ნაკრები სათადარიგო პირებით 46ც.-იანი TOL34-15138	1,000	ცალი	70,0000	70,00
14	ავეჯის ჭანჭიკი BWK-50070 (9ც)	6,000	ცალი	2,2000	13,20
15	ავეჯის ჭანჭიკი BWK-40070 (14ც)	4,000	ცალი	2,2000	8,80
16	პლასტმასის შესადუღებელი უთო 800W-1500W (PTWT215002)	1,000	ცალი	161,0000	161,00
17	დრეკადი შლანგი DN8 1/2F-M10L 60სმ FIXAFLEX (BELGIUM)	6,000	ცალი	8,9000	53,40
18	დრეკადი შლანგი DN8 1/2-1/2 60სმ	6,000	ცალი	7,5500	45,30
19	შემრევი ხელსაბანის ZF1429129C	1,000	ცალი	47,5000	47,50
20	სასაპნე 700221-1	10,000	ცალი	10,0000	100,00
21	საკიდარი 700288-4	4,000	ცალი	13,6500	54,60
22	Z1212G ვენტილი 1/2"	6,000	ცალი	9,0000	54,00
23	ბურთულა ვენტილი მინი 1/2 წითელი ECA	2,000	ცალი	13,4000	26,80
24	გადამყვანი ლატუნის შ-გ M1/2*F3/8	2,000	ცალი	0,7500	1,50
25	გადამყვანი ლატუნის შ-გ M3/4*F1/2	4,000	ცალი	1,0500	4,20
26	მილი 1/2" SLD	5,000	ცალი	0,2600	1,30
27	ჩაქუჩი გელა მეტალის,რეზინის სახელურით 20oz (31მმ560გრ.) TOL603-25031	1,000	ცალი	14,3000	14,30
28	AY-KA დამაგრძელებელი ერთიანი (10მ) - 77 117 10	1,000	ცალი	21,9000	21,90
29	სახრახნისი თავაკებით კომპლექტში 24ც (HKSDB0248)	1,000	ცალი	15,7000	15,70
30	ხელით რეგულირებადი ქანჩის გასაღები 12" (HPP03300)	1,000	ცალი	15,6000	15,60
31	ხელსაწყოების ნაკრები 3ც (ბრტყელტუჩა) (HKPS28318)	1,000	ცალი	28,4000	28,40
32	ექვსკუთხა სახრახნისის ნაკრები მრგვალი ბოლოებით გრძელი სახელურით 9ც.-იანი TOL47-20057	1,000	ცალი	16,2000	16,20
33	სახრახნისის ნაკრები 8ც (HKSD0828)	1,000	ცალი	20,8000	20,80
34	სარჩილავი (SI0268)	1,000	ცალი	15,1500	15,15
35	საკანცელარიო დანა 61*19MM TOL69-30007	1,000	ცალი	10,6000	10,60
36	TOL479-43041 სილიკონის პისტოლეტი 9"/225mm	1,000	ცალი	9,0000	9,00
37	სატეხი 32 მმ, პლასტმასის სახელურით 09A132	1,000	ცალი	9,0000	9,00

38	სეკატორი (HTSN0112S)	1,000	ცალი	16,2000	16,20
39	ინდიკატორი (HSDT1908)	1,000	ცალი	2,0500	2,05
40	ბრტყელტუჩა სადურგლო მეტალის მრგვალი ბოლოებით 200mm,8" TOL389-10345	1,000	ცალი	13,8000	13,80
41	17167 გრძელტუჩა, Comfort, 180 მმ, სწორი გახეხილი, ორკომპონენტური სახელური//MTX	1,000	ცალი	9,8500	9,85
42	ქანჩის გასაღები ხელით-გასახსნელი (HADW131108)	2,000	ცალი	20,3000	40,60
43	13-1ში (ტრეშოტკა) სახრახნისების ნაკრები (AKISD1208)	1,000	ცალი	10,7000	10,70
44	TOL92-35005 საზომი რგოლი 8მ.*25MM	1,000	ცალი	11,3000	11,30
45	ქანჩის გასაღები ხელით-გასახსნელი(HADW131068)	2,000	ცალი	10,4000	20,80
46	ელექტრო ბურღის საცვლელი პირი მეტალის(სვერლო)11x310mm TOL501-75387	1,000	ცალი	5,0500	5,05
47	ბურღი 8*160MM TOL362-75324	1,000	ცალი	2,8500	2,85
48	ბურღი 6*210MM TOL365-75342	1,000	ცალი	3,1000	3,10
49	ბურღი 10*160MM TOL363-75326	1,000	ცალი	3,0500	3,05
50	TOL1163-75330 ბურღი 14*160MM	1,000	ცალი	4,0000	4,00
51	TOL829-75338 ბურღი 6.5*160MM	1,000	ცალი	2,3500	2,35
52	ბურღი 5*110MM TOL357-75301	1,000	ცალი	2,4500	2,45
53	38D554 დამაგრძელებელი 250 მმ	1,000	ცალი	12,5000	12,50
54	საზომი რგოლი 3მ.*16MM TOL90-35002	1,000	ცალი	4,1500	4,15
55	სახრახნისის თავი ბულდექსისათვის 0097 PH30*50MM (10ც)	1,000	ცალი	7,4500	7,45
56	სახრახნისის თავი თაბ მუყაოსათვის 25MM (10ც) (შავი)	1,000	ცალი	4,9500	4,95
57	38D555 ბრუნვადი გადამყვანი 1/2"	1,000	ცალი	10,9000	10,90
58	სახრახნისის საცვლელი თავის ნაკრები(SDB21HL133)	1,000	ცალი	10,1000	10,10
59	TOL1040-79170 ელ.დრელის ვაზნა 0.8-10MM	1,000	ცალი	8,2000	8,20
60	საკანცელარიო დანის პირი კომპლექტში მოკლე (10ც) (HUKB611)	5,000	ცალი	2,4500	12,25
61	იზოლენტა A კლასის EKF (ლურჯი)	2,000	ცალი	2,5000	5,00
62	Лента уплотнительная Момент 12 м RU	3,000	ცალი	1,5000	4,50
63	მილი უნივერსალური 1"-3/4" (გოფრიფებული) SLD	5,000	ცალი	0,5500	2,75
64	პლასმასის ყუთი TK-1920 (ASR-2013)	1,000	ცალი	27,6000	27,60
65	რეზინის ჩაქუჩი სისქე 72 მმ, 900გ, ხის სახელურით 02A347	1,000	ცალი	14,6000	14,60
66	თარაზო მაგნიტით 80 სმ (HSL38080M)	1,000	ცალი	36,5000	36,50
67	10A230 მეტალის ხერხი	1,000	ცალი	5,6000	5,60
68	ელ.პნევმატური დრელი(პერფერატორი)1500W(RH15008)	1,000	ცალი	304,0000	304,00
69	სამანქანე თოკი 12 მმ მეტრი	50,000	მეტრი	1,5500	77,50
70	SOC31-8906 დამაგრძელებელი Linus 4-ადგილიანი 1.5mm 50მტრ კაბელით დამიწებით	1,000	ცალი	150,0000	150,00
71	LGH-003 სარწყავი შლანგი Lux Garden Anti-Torsion 3/4x25m	1,000	ცალი	93,2000	93,20
72	ხის ტარი F40 1.5 სმ	5,000	ცალი	3,2500	16,25
73	TPK004-თოხი STAL ხის სახელურით	2,000	ცალი	24,3000	48,60
74	ხელის ხერხი 500მმ (HHAS08500)	2,000	ცალი	9,7500	19,50
75	გამჭედი დუბელი 6*35 კნაუფის შეკვრა	2,000	შეკვრა	7,5000	15,00
76	შურუპი თვითმჭრელი (TN 25) 3.5*25 (კნაუფი) - (1000ცალი)	2,000	შეკვრა	14,9000	29,80
77	3.07 8x40-800 გამჭედი ნახევარკავით	20,000	ცალი	0,4500	9,00
78	საშემდუღებლო ელექტროდი "BOHLER FOX" 2.5x350 2,14კგ	1,000	ყუთი	14,7000	14,70
79	საშემდუღებლო ელექტროდი 7018 Bohler S EV 50-1 3,25*450 5კგ	1,000	ცალი	30,0000	30,00

80	запорожье მეტალის საჭრელი დისკი 125*1,0*22,23	10,000	ცალი	1,4000	14,00
81	საჭრელი დისკი 230x2x22.23mm, S	5,000	ცალი	5,0500	25,25
82	EM-616 კიბე გალვანიზ. ფოლადის 6+6 საფეხურით 0,70 მმ ორმხრივი	1,000	ცალი	126,0000	126,0000
	სულ ჯამი:				**2688,65**

სულ : 2688,65 (ორიათასექვსასოთხმოცდარვა და 65) ლარი

შპს „ბი ემ სი გორგია “ დირექტორი ხვიჩა პაპუნიძე

შპს სარაგბო კლუბი ბათუმი“ დირექტორი გელა ქობულაძე